ქალი ისტორიულისა და პერსონალურის გადაკვეთაზე ლანა ღოღობერიძის შემოქმედებაში („ფერიცვალება“, „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“, „დედა-შვილი, ან ღამე არ არის არასოდეს ბოლომდე ბნელი“)

ელისო ყეინიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების და მეცნიერების ფაკულტეტზე კინომცოდნეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სამაგისტრო პროგრამა : სახელოვნებო თეორიისა და პრაქტიკის კვლევები (კინომცოდნეობა)

სამეცნიერო ხელმძღვანელი : თეო ხატიაშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ, ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული, ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ელისო ყეინიშვილი

13.06.2024

მადლობა

მინდა, მადლობა გადავუხადო ჩემი სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელს, ქალბატონ თეო ხატიაშვილს, რომელიც მთელი სამუშაო პერიოდის განმავლობაში გარდა სამეცნიერო ხელმძღვანელისა, იყო ჩემი მეგობარი და მრჩეველი. მასთან ერთად მუშაობა იყო ძალიან სასიამოვნო აკადემიური პროცესი.

მადლობა ქალბატონ ლანა ღოღობერიძეს, რომელმაც ნება დამრთო, მემუშავა ამ თემაზე, დამითმო ბევრი დრო და ჩემს ყველა კითხვას ამომწურავი პასუხი გასცა.

მადლობა ქალბატონ ნუცა ალექსი-მესხიშვილს, რომელმაც ძალიან დიდი ტექნიკური დახმარება გამიწია.

მადლობა „აკადემიური წერის“ ლექტორს, ბატონ შალვა ბერიანიძეს, რომელმაც ფასდაუდებელი ცოდნა გამიზიარა, როგორ უნდა ამეგო სამაგისტრო ნაშრომი.

და ბოლოს, ყველაზე დიდი მადლობა დედაჩემს, ნანა შატბერაშვილს, რომელიც ყოველთვის ჩემს გვერდითაა და რომლის დამსახურებაცაა ჩემი თითოეული წინ გადაგდმული ნაბიჯი ცხოვრებაში. მადლობა დედა, რომ ყველა მატერიალურ თუ არამატერიალურ რესურსს ბოლომდე ჩემი განათლებისთვის იღებდი ცხოვრების იმ რთულ გზაზე, რომელიც მე და შენ ერთად გამოვიარეთ. ეს ნაშრომი, რა თქმა უნდა, შენ გეძღვნება.

აბსტრაქტი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის მიზანია ერთი რეჟისორის, ლანა ღოღობერიძის შემოქმედებაში ქალის როლი მნიშვნელობის დადგენა, რომლის პიროვნულ მახასიათებლებსა და ბედს განაპირობებს ქვეყნის ისტორია და ისტორიული კონტექსტი. ნაშრომის მიზანია, გამოიკვლიოს, როგორ ყალიბდება ქალის იდენტობა, რა აწუხებს მას, რისკენ მიისწრაფვის და რისთვის იბრძვის ის ლანა ღოღობერიძის შემოქმედებაში.

კვლევისთვის შეირჩა კინორეჟისორის სამი ფილმი, რომელთაგანაც პირველი („ფერიცვალება“) რეჟისორმა კარიერის დასაწყისში - 1968 წელს გადაიღო, მეორე („რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“) - კარიერის შუა ნაწილში, 1978 წელს და მესამე ,(„დედა-შვილი, ან ღამე არ არის არასოდეს ბოლომდე ბნელი“) ამ ეტაპზე ლანა ღოღობერიძის ბოლო ფილმი - 2023 წელს.

ნაშრომში გამოყენებულია როგორც ფილმების დეტალური ვიზუალური ანალიზი (პირველადი წყაროები), ისე კინოკრიტიკოსებისა და თეორეტიკოსების ტექსტების სინთეზური ანალიზი (მეორეული წყაროები).

კვლევის დასასრულს მიღებული შედეგები დაგვეხმარება გამოვავლინოთ ქალის როლის და მნიშვნელობის საკითხი პატრიარქალურ კულტურაში, რომელსაც ემატება ქვეყნის პოლიტიკური კონტექსტიც. კვლევის მეშვეობით, შეგვიძლია

დავადგინოთ, როგორ იკვეთება ისტორიული და პიროვნული ფაქტორები ქალი გმირების რეპრეზენტირებისას ლანა ღოღობერიძის შემოქმედებაში.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ქალი, დედა, კინო, ტრავმა, საბჭოთა სისტემა, ცენზურა.

Abstract

The purpose of this master's thesis is to determine the importance of the role of women in the work of one director, Lana Ghoghoberidze, whose personal characteristics and fate are determined by the country's history and historical context. The aim of the paper is to investigate how a woman's identity is formed, what worries her, what she aspires to and what she fights for in Lana Ghoghoberidze's work.

Three films of the director were selected for the study, the first of which ("The discoloration") was made by the director at the beginning of her career - in 1968, the second ("Couple interviews on personal issues") - in the middle of her career, in 1978, and the third ("Mother and daughter, or the night is never complete"), Lana Ghoghoberidze's last film at this stage - in 2023.

The paper uses both a detailed visual analysis of films (primary sources) and a synthetic analysis of the texts of film critics and theorists (secondary sources).

The results obtained at the end of the research will help us identify the issue of women's role and importance in the patriarchal culture, which is also added to the political context of the country. Through research, we can determine how historical and personal factors intersect when representing female characters in Lana Ghoghoberidze's work.

Main search keywords: woman, mother, film, Soviet system, censorship.